საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/226

ქ. ბათუმი 22 სექტემბერი, 2022 წელი

,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის მსმენელის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 10 თებერვლის N01-02/39 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2022 წლის 22 სექტემბრის N1136103 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის მსმენელის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 10 თებერვლის N01-02/39 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებება და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართი N1 შესაბამისად.
2. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცების წესის გაცნობა და შესაბამისი ფორმების ხელმისაწვდომობა პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის (მოწვეული პერსონალის).
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელს და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმის ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის
N01-02/226 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის მსმენელის სწავლის შედეგების დადასტურების წესი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების საფუძველზე და განსაზღვრავს ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის (შემდეგში - პროგრამა) მსმენელის სწავლის შედეგის დადასტურების ფორმებს და პროგრამის განმახორციელებელი პირის (შემდეგში - მასწავლებლის) მიერ სწავლის შედეგების დადასტურების ფორმების და შესრულების მტკიცებულებების შეგროვების წესს.
2. მსმენელის სწავლის შედეგის დადასტურების მიზნით უნდა შეივსოს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან შეთანხმებული და ნებადართული, წინამდებარე წესზე თანდართული ფორმა - პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეფასების ინსტრუმენტი **(წინამდებარე წესის თანდართული ფორმა N1)**, რომელიც მოიცავს შემდეგი ფორმების შევსებას: **ფორმა 1 (1)** - შეფასების მეთოდი - გამოკითხვა; **ფორმა 1 (2)** - პრაქტიკული დავალება; **ფორმა 1 (3)** - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.
3. **მსმენელის** სწავლის შედეგის დადასტურების მიზნით წინამდებარე წესზე თანდართული ფორმების შევსებაზე პასუხისმგებელია პროგრამის განმახორციელებელი პირი (ვინც წარმართავს სწავლების პროცესს).
4. შედგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტი პროგრამის განმახორციელებელი პირმა შეფასებამდე 10 დღით ადრე უნდა წარუდგინოს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის პროგრამასთან თავსებადობას.
5. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვალდებულია პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტი შეითანხმოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, დაადასტუროს შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობა ან რეკომენდაციებით და წინადადებებით დაუბრუნოს პროგრამის განმახორციელებელ პირს (ასეთ შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეფასების განხორციელებამდე 3 სამუშაო დღით ადრე ხელახლა წარმოადგინოს შეფასების ინსტრუმენტები, რეკომენდაციების გათვალისწინებით).

ფორმა N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის
განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი

შეთანხმებულია:

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი / /

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება:
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის კოდი:
ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე:
პროგრამის მოქმედების ვადები:
პროგრამით გათვალისწინებული შედეგების რაოდენობა:
პროგრამით გათვალისწინებული საათების რაოდენობა:
პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ი:
მსმენელისსახელი, გვარი:
ჩატარების ადგილი:
ჩატარების თარიღი/თვე/წელი:

N	სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შედეგის შეფასება (დადასტურდა/არ დადასტურდა)
1			
2			
3			
4			

პროგრამის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა:

რიცხვი/თვე/წელი:

გავეცანი და ვეთანხმები მიღებულ შედეგს:

მსმენელის ხელმოწერა:

რიცხვი/თვე/წელი:

შეფასების მეთოდი	გამოკითხვა
დასადასტურებელი სწავლის შედეგ(ებ)ი	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს სწავლის შედეგი
შეფასებისათვის განკუთვნილი დრო	გამოკითხვა ტარდება -- გარემოში. შეფასების ჩატარების ხანგრძლივობაა – ---------- (საათი/წუთი)
შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს მისამართი სადაც ხორციელდება პროგრამა
დამატებითი პირობები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები, მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა მსმენელებს ინტერნეტით სარგებლობა, ჯგუფური მუშაობა და სხვა

შეფასების პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/ ინვენტარი			
დასახელება	რაოდენობა	საზომი ერთეული	შენიშვნა
მასალა, ნედლეული			

ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი	**შენიშვნა:** აქ განმახორციელებელი პირის მიერ უნდა ჩაიწეროს, თუ როგორც შეაფასებს მსმენელს, ,,მსმენელი ვალდებულია ზუსტად და სრულად შეასრულოს ტესტური დავალება. დავალებები ფასდება შეფასების ფურცელში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. სწავლის შედეგების დადასტურებისათვის სავალდებულოა შეფასების ფურცელში მოცემული ყველა კრიტერიუმის დადებითად შეფასება“ ან მიეთიება ხარვეზების (არასწორი პასუხების) დასაშვები ნორმა;
შრომის, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის რეკომენდაციები	შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს სივრცეში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო განათებითა და ტემპერატურული რეჟიმით, იქნება ვენტილაციის შესაძლებლობა. დაცული იქნება შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.
სწავლის შედეგების შესაბამისი თემატიკა	შენიშვნა: აქ უნდა ჩაიწეროს სწავლის შედეგით გათვალისწინებული თემატიკა
განმეორებითი შეფასების პროცედურება	შენიშვნა: აქ უნდა ჩაიწეროს მსმენელს როდის აქვს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა

,,გამოკითხვა“ შეფასების ფურცელი

შეფასების კრიტერიუმები		შეფასება	
		დადასტურდა	არ დადასტურდა

სწავლის შედეგი N. (მიეთითება სწავლის შედეგ(ებ)ი რომელიც გაწერილია პროგრამაში)
სწავლის შედეგების მიხედვით ჩაიწერება შეკითხვები, შესაძლებელია ყველა შედეგის თეორიული ნაწილის შეფასება მოხდეს ერთდროულად. სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებას წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული ტესტური დავალებები და განმახორციელებელი პირის მიერ შევსებული შეფასების ფურველი. მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური სახით.

შეფასების მეთოდი	პრაქტიკული დავალება
დასადასტურებელი სწავლის შედეგ(ებ)ი	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს სწავლის შედეგი
შეფასებისათვის განკუთვნილი დრო	პრაქტიკული დავალება ტარდება -- გარემოში. შეფასების ჩატარების ხანგრძლივობაა – ---------- (საათი/წუთი)
შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს მისამართი სადაც ხორციელდება პროგრამა
დამატებითი პირობები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები, მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა მსმენელებს ინტერნეტით სარგებლობა, ჯგუფური მუშაობა და სხვა

შეფასების პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/ ინვენტარი			
დასახელება	რაოდენობა	საზომი ერთეული	შენიშვნა
მასალა, ნედლეული			

ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი	**შენიშვნა:** მაგალითად: ,,მსმენელი ვალდებულია ზუსტად და სრულად შეასრულოს დავალება მოცემულობისა და ინსტრუქციის მიხედვით. დავალებები ფასდება შეფასების ფურცელში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. სწავლის შედეგების დადასტურებისათვის სავალდებულოა შეფასების ფურცელში მოცემული ყველა კრიტერიუმის დადებითად შეფასება“ ან მიეთითება შესრულებულ პრაქტიკულ დავალებაში ხარვეზების (არასწორი პასუხების) დასაშვები ნორმა; მსმენელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, მსმენელის საბოლოო შეფასების შემდეგ წინამდებარე ფორმას უნდა დაერთოს მსმენელის ნამუშევარი, ამობეჭდილი ფურცელი ან ის, რასაც შექმნის შესაფასებელი პირი, რომელიც აისახება განმახორციელებელი პირის მიერ შევსებულ დაკვირვების ფურცელში (ჩეკლისტი)
შრომის, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის რეკომენდაციები	შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს სივრცეში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო განათებითა და ტემპერატურული რეჟიმით, იქნება ვენტილაციის შესაძლებლობა. დაცული იქნება შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.
სწავლის შედეგების შესაბამისი თემატიკა	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს სწავლის შედეგით გათვალისწინებული თემატიკა
განმეორებითი შეფასების პროცედურება	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს მსმენელს როდის აქვს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა

,,პრაქტიკული დავალება“ შეფასების ფურცელი

შეფასების კრიტერიუმები		შეფასება	
		დადასტურდა	არ დადასტურდა

სწავლის შედეგი N. (მიეთითება სწავლის შედეგ(ებ)ი რომელიც გაწერილია პროგრამაში)

აქ ჩაიწერება იმ პრაქტიკული დავალების მოკლე შინაარსი, დავალების მოცემულობა და შესრულების ინსტრუქცია, რასაც მსმენელი შეასრულებს. სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებას წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ დანართის სახით წარმოდგენილი ის პროდუქტი რასაც შექმნის შესაფასებელი პირი (მსმენელის ნამუშევარი) და განმახორციელებელი პირის მიერ შევსებული დაკვირვების ფურცელი (ჩეკლისტი).

შეფასების მეთოდი	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
დასადასტურებელი სწავლის შედეგ(ებ)ი	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს სწავლის შედეგი
შეფასებისათვის განკუთვნილი დრო	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით ტარდება -- გარემოში. შეფასების ჩატარების ხანგრძლივობაა – ---------- (საათი/წუთი)
შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს მისამართი სადაც ხორციელდება პროგრამა
დამატებითი პირობები	შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები, მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა მსმენელებს ინტერნეტით სარგებლობა, ჯგუფური მუშაობა და სხვა

შეფასების პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/ ინვენტარი

დასახელება	რაოდენობა	საზომი ერთეული	შენიშვნა
მასალა, ნედლეული			

ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი	**შენიშვნა:** მაგალითად: ,,მსმენელი ვალდებულია ზუსტად და სრულად შეასრულოს დავალება მოცემულობისა და ინსტრუქციის მიხედვით. დავალებები ფასდება შეფასების ფურცელში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. სწავლის შედეგების დადასტურებისათვის სავალდებულოა შეფასების ფურცელში მოცემული ყველა კრიტერიუმის დადებითად შეფასება“ ან მიეთითება შესრულებულ პრაქტიკულ დავალებაში (სიმულაციურ ან რეალურ გარემოში) ხარვეზების (არასწორი პასუხების) დასაშვები ნორმა; მსმენელის მიერ შესასრულებელი პრაქტიკული დავალების შესრულების შემთხვევაში, მსმენელის საბოლოო შეფასების შემდეგ წინამდებარე ფორმას უნდა დაერთოს განმახორციელებელი პირის მიერ შევსებულ დაკვირვების ფურცელი (ჩეკლისტი)
შრომის, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის რეკომენდაციები	შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს სივრცეში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო განათებითა და ტემპერატურული რეჟიმით, იქნება ვენტილაციის შესაძლებლობა. დაცული იქნება შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.
სწავლის შედეგების შესაბამისი თემატიკა	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს სწავლის შედეგით გათვალისწინებული თემატიკა
განმეორებითი შეფასების პროცედურება	შენიშვნა: /აქ უნდა ჩაიწეროს მსმენელს როდის აქვს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა

,,პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“ შესრულების შეფასების ფურცელი

	შეფასების კრიტერიუმები	**შეფასება**	
		დადასტურდა	არ დადასტურდა

სწავლის შედეგი N. (მიეთითება სწავლის შედეგ(ებ)ი რომელიც გაწერილია პროგრამაში)

აქ ჩაიწერება იმ პრაქტიკული დავალების მოკლე შინაარსი, დავალების მოცემულობა და შესრულების ინსტრუქცია, რასაც მსმენელი შეასრულებს, დანართის სახით წარმოდგენილი იქნება შემფასებლის მიერ შევსებული დაკვირვების ფურცელი (ჩეკლისტი).